



თიბისი კაპიტალი

მომხმარებლის დანახარჯების დინამიკა

აპრილი 2025

ირინა კვახაძე

ვიცე პრეზიდენტი, მკვლევარი

თინათინ თუთბერიძე

უმცროსი ანალიტიკოსი, მკვლევარი

თეა პავლიაშვილი

უმცროსი ანალიტიკოსი, მკვლევარი

მოკლე შეჯამება

2025 წლის აპრილში, თიბისი ბანკის არხების მიხედვით, მომხმარებლებმა მეტი უნაღდო დანახარჯი გასწიეს და მეტი ტრანზაქცია შეასრულეს, ვიდრე გასული წლის აპრილში.

დასვენების სექტორში, კერძოდ კი სასტუმროებში, მომხმარებლების დანახარჯები, წინა თვის მსგავსად, წლიურად 16%-ით გაიზარდა, რაც არარეზიდენტების გაზრდილი დანახარჯებით იყო განპირობებული. მიმდინარე წლის აპრილში, სასტუმროებში არარეზიდენტების საშუალო დანახარჯი დაახლოებით 3-ჯერ აღემატებოდა რეზიდენტების საშუალო დანახარჯს.

2025 წლის აპრილში, რესტორნებში უნაღდო დანახარჯები წლიურად მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო საშუალო დანახარჯი 35 ლარს გაუტოლდა. ამავე პერიოდში, რესტორნებში არარეზიდენტების საშუალო ხარჯვა დაახლოებით 5-ჯერ აღემატება რეზიდენტების მაჩვენებელს.

2025 წლის აპრილში, გასულ წელთან შედარებით, მომხმარებლებმა 9%-ით მეტი დახარჯეს ტანსაცმელსა და აქსესუარებზე.

შენიშვნა: ზრდის ტემპები მოცემულია თიბისი ბანკის არხებით POS და ელ-კომერციის სარეგისტრაციო დაყრდნობით; მოცემული ზრდები შესაძლოა განსხვავდებოდეს ჯამური ბაზრის დინამიკისგან უნაღდო დანახარჯების წილის და თიბისი ბანკის საბაზრო წილის ცვლილების გამო




თიბისი კაპიტალი


ჯამური უნაღდო დანახარჯების წლიური ზრდა დადებითია

- > 2025 წლის აპრილში, ჯამური უნაღდო დანახარჯები, თიბისი ბანკის არხებით, წლიურ ჭრილში 20%-ით, ხოლო უნაღდო ტრანზაქციების რაოდენობა 7%-ით გაიზარდა.
- > თიბისი ბანკის არხებით, ჯამური უნაღდო დანახარჯების განაწილებამ რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის, შესაბამისად, 85% და 15% შეადგინა.

ჯამური უნაღდო დანახარჯები და უნაღდო ტრანზაქციების რაოდენობა (წლიური ცვლილება, %)



უნაღდო დანახარჯების განაწილება რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის (წილი, %)




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო


ჯამური უნაღდო დანახარჯების უდიდესი წილი სურსათზე იხარჯება

- > 2025 წლის აპრილში, თიბისი ბანკის არხებით, რესტორნებზე დახარჯულმა წილმა მთლიან უნაღდო დანახარჯებში 15%-ს გაუტოლდა, ხოლო სურსათზე 29% შეადგინა.
- > ამავე პერიოდში, თიბისი ბანკის არხებით, სურსათზე უნაღდო დანახარჯები წლიურად 28%-ით გაიზარდა. საშუალო ტრანზაქციის ზომა 17 ლარია, ხოლო სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე ინფლაცია 7%-ს გაუტოლდა.

ჯამური უნაღდო დანახარჯების განაწილება კატეგორიების მიხედვით (წილი, %)



სურსათი: უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი ტრანზაქციაზე




წყარო: საქსტატი, თიბისი ბანკის არხები, საქართველო

აპრილში, ჯამური დანახარჯების 63% სამომხმარებლო საქონელზე მოდის


- > 2025 წლის აპრილში, თიბისი ბანკის არხებით, ჯამური უნაღდო დანახარჯების განაწილებამ სამომხმარებლო საქონელსა და სერვისებზე, შესაბამისად, 63% და 37% შეადგინა.
- > სურსათის წილმა საქონელზე გაწეულ ჯამურ უნაღდო დანახარჯებში ყველაზე მაღალი წილი დაიკავა და 46%-ს გაუტოლდა.

ჯამური უნაღდო დანახარჯების განაწილება საქონლისა და სერვისების მიხედვით (წილი, %)




სამომხმარებლო საქონელზე დანახარჯები კატეგორიების მიხედვით, აპრილი 2025

- 46% სურსათი
- 10% ტანსაცმელი და აქსესუარები
- 9% საწვავი
- 8% ფარმაცია
- 8% ელექტრონიკა
- 6% საცალო გაყიდვები
- 6% სამშენებლო მასალა
- 3% ავეჯი და მოწყობილობები
- 3% პირადი ჰიგიენა



სამომხმარებლო საქონელზე დანახარჯები კატეგორიების მიხედვით, აპრილი 2024

- 44% სურსათი
- 12% ტანსაცმელი და აქსესუარები
- 10% საწვავი
- 8% ფარმაცია
- 8% ელექტრონიკა
- 6% საცალო გაყიდვები
- 7% სამშენებლო მასალა
- 3% ავეჯი და მოწყობილობები
- 4% პირადი ჰიგიენა




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო


სასტუმროებში უნაღდო დანახარჯების უდიდესი წილი არარეზიდენტებს უკავიათ

- > 2025 წლის აპრილში, 16%-იანი ზრდა დაფიქსირდა, თიბისი ბანკის არხებით, სასტუმროებში უნაღდო დანახარჯებში. ერთ ტრანზაქციაზე საშუალო დანახარჯმა 423 ლარი შეადგინა.
- > ამავე პერიოდში, თიბისი ბანკის არხებით, სასტუმროებში უნაღდო დანახარჯების განაწილებამ რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის, შესაბამისად, 16% და 84% შეადგინა.

სასტუმროები: ჯამური უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი ტრანზაქციაზე



სასტუმროები: უნაღდო დანახარჯების განაწილება რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის (წილი, %)




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო


სასტუმროებში რეზიდენტების უნაღდო დანახარჯები წლიურად 5%-ით შემცირდა

- > 2025 წლის აპრილში, რეზიდენტების მიერ სასტუმროებში უნაღდო დანახარჯები წლიურად 5%-ით შემცირდა, ხოლო საშუალო დანახარჯმა ერთ ტრანზაქციაზე 173 ლარი შეადგინა.
- > თიბისი ბანკის არხებით, სასტუმროებში არარეზიდენტების უნაღდო დანახარჯები წლიურად 21%-ით გაიზარდა, ხოლო საშუალო დანახარჯი 576 ლარს გაუტოლდა.
- > 2025 წლის აპრილში, არარეზიდენტებისა და რეზიდენტების უნაღდო დანახარჯები სასტუმროებში წლიურად კვლავ სხვადასხვა მიმართულებით შეიცვალა. ზოგადად, არარეზიდენტების საშუალო დანახარჯი ერთ ტრანზაქციაზე რეზიდენტების დანახარჯს დაახლოებით სამჯერ აღემატება.

სასტუმროები: რეზიდენტების უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი ტრანზაქციაზე



სასტუმროები: არარეზიდენტების უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი ტრანზაქციაზე




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო


უნაღდო დანახარჯები რესტორნებში წლიურად მზარდია

- > 2025 წლის აპრილში, რესტორნებში უნაღდო დანახარჯები, თიბისი ბანკის არხებით, წლიურად 50%-ით გაიზარდა. საშუალო ტრანზაქციის ზომა 35 ლარია.
- > ამავე პერიოდში, რეზიდენტების წილი რესტორნებში ჯამურ უნაღდო დანახარჯებში 67%-ია, ხოლო არარეზიდენტების წილი 33%-ს უტოლდება.

რესტორნები: ჯამური უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი ტრანზაქციაზე



რესტორნები: უნაღდო დანახარჯების განაწილება რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის (წილი, %)




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო


რესტორნებში არარეზიდენტების საშუალო დანახარჯი 130 ლარია

- > 2025 წლის აპრილში, რესტორნებში რეზიდენტების უნაღდო დანახარჯები, თიბისი ბანკის არხებით, წლიურად 43%-ით გაიზარდა, ხოლო საშუალო დანახარჯი 25 ლარს გაუტოლდა.
- > თიბისი ბანკის არხებით რესტორნებში არარეზიდენტი მომხმარებლების უნაღდო დანახარჯები წლიურად 66%-ით გაიზარდა, რაც საბაზო ეფექტით აიხსნება. რაც შეეხება საშუალო დანახარჯს, მაჩვენებელი 130 ლარს გაუტოლდა, რაც მიმდინარე თვეში თითქმის 5-ჯერ აღემატება რეზიდენტების საშუალო დანახარჯს.

რესტორნები: რეზიდენტების უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი ტრანზაქციაზე



რესტორნები: არარეზიდენტების უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი ტრანზაქციაზე




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო


უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი ტანსაცმელსა და აქსესუარებზე დადებითია

- > 2025 წლის აპრილში, თიბისი ბანკის არხებით, უნაღდო დანახარჯები ტანსაცმელსა და აქსესუარებზე წლიურად 9%-ით გაიზარდა, ხოლო საშუალო დანახარჯმა ერთ ტრანზაქციაზე 109 ლარი შეადგინა.
- > ამავე პერიოდში, რეზიდენტებმა ჯამურ უნაღდო დანახარჯებში ტანსაცმელსა და აქსესუარებზე, თიბისი ბანკის არხებით, 82%, ხოლო არარეზიდენტებმა 18% დაიკავეს.

ტანსაცმელი და აქსესუარები: ჯამური უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი ტრანზაქციაზე



ტანსაცმელი და აქსესუარები: უნაღდო დანახარჯების განაწილება რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის (წილი, %)




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო


არარეზიდენტების საშუალო დანახარტი ტანსაცმელსა და აქსესუარებზე 217 ლარია

- > 2025 წლის აპრილში, რეზიდენტების უნაღდო დანახარტები ტანსაცმელსა და აქსესუარებზე, თიბისი ბანკის არხებით, წლიურად 4%-ით გაიზარდა. საშუალო დანახარტი ერთ ტრანზაქციაზე 98 ლარს გაუტოლდა.
- > ამავე პერიოდში, თიბისი ბანკის არხებით, არარეზიდენტების უნაღდო დანახარტები ტანსაცმელსა და აქსესუარებზე წლიურად 38%-ით გაიზარდა, ხოლო საშუალო ტრანზაქციის ზომამ 217 ლარი შეადგინა.

ტანსაცმელი და აქსესუარები: რეზიდენტების უნაღდო დანახარტების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარტი ტრანზაქციაზე



ტანსაცმელი და აქსესუარები: არარეზიდენტების უნაღდო დანახარტების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარტი ტრანზაქციაზე




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო


უნაღდო დანახარჯების დინამიკა საწვავზე კვლავ მზარდია

- > 2025 წლის აპრილში, თიბისი ბანკის არხებით, საწვავზე უნაღდო დანახარჯებმა 18%-იანი წლიური ზრდა აჩვენა, ხოლო საშუალო დანახარჯმა ერთ ტრანზაქციაზე 51 ლარი შეადგინა.
- > მანქანის შეკეთებასთან დაკავშირებული უნაღდო დანახარჯები, თიბისი ბანკის არხებით, წლიურად 11%-ით გაიზარდა. საშუალო დანახარჯი ერთ ტრანზაქციაზე 53 ლარს გაუტოლდა.

საწვავი: უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი ტრანზაქციაზე



მანქანის შეკეთება: უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი ტრანზაქციაზე




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო


უნაღდო დანახარჯები ფარმაციაზე წლიურად 31%-ით გაიზარდა

- > 2025 წლის აპრილში, უნაღდო დანახარჯები ფარმაციაზე, თიბისი ბანკის არხებით, წლიურად 31%-ით გაიზარდა. საშუალო დანახარჯი ერთ ტრანზაქციაზე 26 ლარს გაუტოლდა.
- > ამავე პერიოდში, თიბისი ბანკის არხებით, პირად ჰიგიენაზე უნაღდო დანახარჯები წლიურად 7%-ით გაიზარდა. რაც შეეხება საშუალო დანახარჯს, მაჩვენებელი 70 ლარს გაუტოლდა.

ფარმაცია: უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი ტრანზაქციაზე



პირადი ჰიგიენა: უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი ტრანზაქციაზე




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო


უნაღდო დანახარჯები ავეჯსა და მოწყობილობებზე მზარდია

- > 2025 წლის აპრილში, თიბისი ბანკის არხებით, ელექტრონიკაზე ჯამურ უნაღდო დანახარჯებში წლიურად 33%-იანი ზრდა დაფიქსირდა.
- > ამავე თვეში, 24%-იანი ზრდა ფიქსირდება ავეჯისა და მოწყობილობების კატეგორიაზე. კატეგორიებში წლიურად მაღალი ზრდები მეტწილად განპირობებულია დაბალი საბაზო ეფექტით, თუმცა აღსანიშნავია, რომ წინა თვესთან შედარებული ზრდის ტემპები სტაბილურად ნარჩუნდება.

ელექტრონიკა: უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი (წლიური ცვლილება, %)



ავეჯი და მოწყობილობები: უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი (წლიური ცვლილება, %)




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო

უნაღდო დანახარჯები სამშენებლო მასალებზე წლიურად 2%-ით გაიზარდა

> 2025 წლის აპრილში, სამშენებლო მასალებზე უნაღდო დანახარჯებში, თიბისი ბანკის არხებით, წლიურად 2%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

სამშენებლო მასალები: უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი (წლიური ცვლილება, %)



წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო

სამართლებრივი შეტყობინება

წინამდებარე დოკუმენტი („დოკუმენტი“) მომზადებულია და გავრცელებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ („თიბისი კაპიტალი“) მიერ, რომელიც არის TBC Bank Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. თიბისი კაპიტალი მოქმედებს და ეწევა თავის პროფესიონალურ მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე და აქვს სათანადო უფლებამოსილება მოამზადოს და გავრცელოს დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიაზე. დოკუმენტში არაფერი წარმოადგენს ან შეადგენს შეთავაზებას ან მის ნაწილს ან მოწვევას შეთავაზებაზე ნებისმიერი აქტივის ან ფასიანი ქაღალდის ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის ან გამოწერისთვის და დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს ხელშეკრულებისთვის ან ვალდებულებებისთვის და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რჩევა რაიმე მსგავსი ქმედებების განხორციელებისთვის. რადგან დოკუმენტის გავრცელება შესაძლოა კანონით აკრძალული იყოს გარკვეულ იურისდიქციებში, პირებს, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება დოკუმენტი, თიბისი კაპიტალისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რაც იმოქმედებს მათ მიმართ. ვინაიდან, დოკუმენტი მიმართულია ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო ან რომელიმე მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციაში, არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, და არც მათი რომელიმე დირექტორ(ებ), პარტნიორ(ებ), თანამშრომელ(ებ), დაკავშირებული კომპანიები, მრჩეველ(ებ) ან აგენტ(ებ) („წარმომადგენლები“) იღებენ ნებისმიერი სახის პირდაპირ ან არაპირდაპირ პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირის წინაშე ნებისმიერ იურისდიქციაში დოკუმენტის გამოქვეყნებასთან, გავრცელებასთან ან ფლობასთან დაკავშირებით. დოკუმენტი არ წარმოადგენს საინფორმაციო, ბიზნეს, საგადასახადო ან/და სამართლებრივ რჩევას და არ არის გამიზნული საკრედიტო ან რაიმე სხვა შეფასების უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის მიმღებებს მკაცრად მოეთხოვებათ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ჩატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ან ყველა ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს გაფრთხილების გარეშე და არც თიბისი კაპიტალს, არც ჯგუფის რომელიმე წევრს და არც მათ რომელიმე წარმომადგენელს ეკისრებათ ნებისმიერი სახის ვალდებულება განაახლონ ან შეინარჩუნონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია. დოკუმენტის გავრცელება, არც ერთ შემთხვევაში გულისხმობს რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი, სწორი ან/და სრული მისი მომზადების თარიღის შემდგომ ან არ მომხდარა ცვლილება შესაბამისი კომპანიების ან ნებისმიერი სხვა პირის ბიზნესში, ფინანსურ მდგომარეობაში, მოლოდინებში, საკრედიტო სანდოობაში, სტატუსში ან საქმიან ურთიერთობებში ზემოხსენებული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, დოკუმენტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც ზაზრების, ინდუსტრიების ან/და კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასშია აღწერილი და არ უნდა მოხდეს მათზე დაყრდნობა. თიბისი კაპიტალი არ იღებს ვალდებულებას განაახლოს დოკუმენტი ან გამოასწოროს მასში არსებული ნებისმიერი უზუსტობა, რაც შესაძლოა გახდეს აშკარა. დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებულ განაცხადებს საოპერაციო შედეგებთან და სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაში. ნებისმიერ სამომავლო შეხედულებასთან დაკავშირებული განაცხადი, რომელიც მოიცავს განაცხადს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობილი განაცხადის გარდა, მოიცავს ნაცნობ და უცნობ რისკებს, მერყეობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თიბისი კაპიტალის კონტროლის მიღმაა და რომელთაც შესაძლოა ისე შეცვალონ ფაქტიური შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისგან, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადებიდან. ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები ეფუძნება მრავალ დაშვებას არსებულ და სამომავლო ბიზნეს სტრატეგიებთან და სამომავლო საოპერაციო გარემოსთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები მოიცავს რისკებსა და მერყეობას რადგან ისინი უკავშირდება მოვლენებს და დამოკიდებულია გარემოებებზე რომელთა სამომავლო არსებობა სათუაა. გარანტია ვერ გაიცემა, რომ დოკუმენტში არსებული სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები აღსრულდება. თიბისი კაპიტალი მიზნად არ ისახავს მსგავსი განაცხადები მომავალში განაახლოს. მოსაზრებები, პროგნოზები, შეფასებები ან/და განაცხადები, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო მოვლენების მოლოდინებთან ან ინვესტიციების შესაძლო შესრულებასთან, წარმოადგენს თიბისი კაპიტალის საკუთარ შეფასებას და მისთვის ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაციას. მესამე მხარის წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ ინფორმაციის სისწორის ან/და სისრულის გარანტია. თიბისი კაპიტალს ან ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას იმ კომპანიებთან, რომლებიც განხილულია დოკუმენტში. შესაბამისად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე. დაუშვებელია დოკუმენტის რეპროდუქცია, განმეორებით გავრცელება ან გამოქვეყნება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი მიზნით, თიბისი კაპიტალის წერილობითი ნებართვის გარეშე. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი და არც მათი რომელიმე წარმომადგენელი ამ მხრივ არ იღებენ რაიმე სახის პასუხისმგებლობას მესამე პირის ქმედებებთან დაკავშირებით. თიბისი კაპიტალი არ გასცემს რაიმე სახის რწმუნებას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში და ცალსახად უარყოფს სავაჭრო მდგომარეობის ან შესაბამისობის ყველანაირ პირობას, რაც დოკუმენტში განხილულია კონკრეტული მიზნისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი მონაცემის მიმართ. ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე და კანონის შესაბამისად, თიბისი კაპიტალი, ჯგუფის ნებისმიერი წევრი, და მათი ნებისმიერი წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე სახის ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად, წარმოიქმნას დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ინფორმაციის სიზუსტესთან ან/და სისრულესთან დაკავშირებით), ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს დოკუმენტს ან რაიმე ქმედების ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ დოკუმენტის საფუძველზე



თბილისი კაპიტალი

www.tbccapital.ge